



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**  
Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE - JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**



ოქმი № 10

„21“ 11

2019.

დადგენილება № 56

პროფესორების - მერაბ ბერიძეს, როინ ყავრელიშვილის, რომან გოგოლაურს და ასოცირებული პროფსორის ვასილ მოსიაშვილს საერთაშორისო კომფერენციაზე მონაწილეობისათვის დღიური ხარჯების ანაზღაურების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა, „სიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

- დაკმაყოფილდეს სიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუამდგომლობა და პროფესორებს: მერაბ ბერიძეს, როინ ყავრელიშვილის, რომან გოგოლაურს და ასოცირებული პროფსორ ვასილ მოსიაშვილს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანკარაში თურქეთის საისტორიო საზოგადოების ორგანიზებით მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმე „ქართულ-თურქული ურთიერთობები“ მონაწილეობისათვის აუნაზღაურდეთ დღიური ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- დადგენილება განთავსდეს სიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ჩაბარდეს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.
- საფუძველი: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 07 ნოემბრის N 10/02 გადაწყვეტილება.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის №62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე